ჭეშმარიტად, თქვენს ღმერთს მარადცოცხალს და გულუხვს რცხვენია, რომ არ უპასუხოს მისი მონის ვედრებას, როდესაც მისი მონა აწევს ხელებს და შესთხოვს მას

გადმოცემულია სალმანისგან (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი), რომ მან თქვა: ალლაჰის შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «ჭეშმარიტად, თქვენს ღმერთს მარადცოცხალს და გულუხვს რცხვენია, რომ არ უპასუხოს მისი მონის ვედრებას, როდესაც მისი მონა აწევს ხელებს და შესთხოვს მას».

[კარგი (ჰასან)] [გადმოსცა აბუ დაუდმა, ალ-თირმიზიმ და იბნ მააჯამ]

მოციქული (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) მოუწოდებდა მუსლიმებს, ვედრების დროს ხელები აეწიათ და აცნობებდა, რომ ყოვლადმაღალი ალლაჰი არის ძალზე მორიდებული და უწყვეტად ანიჭებს წყალობას თავის მორჩილებს, ახარებს მათ და იკავებს თავს იმისგან, რაც მათ ვნებს. ის არის უხვად მომცემი, რომელიც წყალობას ანიჭებს მაშინაც კი, როცა არ სთხოვენ, და მით უმეტეს, როცა სთხოვენ! ალლაჰი მორიდებულია და არ ტოვებს ხელცარიელს თავის მორჩილს, რომელიც ლოცვაში ხელებს მისკენ აღაპყრობს.

http://sunnah.global/hadeeth/ka/show/5499